# შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# განკარგულება

N 28
05/08/2021

28-08-4-202108051411

**საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ**

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შუახევი მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) გასაკრავად და გამოსაფენად გამოიყოს ადგილები, თანახმად დანართისა.

2. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება ნებადართულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა გარე-განათების ბოძებზე გარდა დაბა შუახევის სკვერში არსებული ბოძებისა, აგრეთვე დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტების თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

3. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

4. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არაუმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატით).

5. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განსათავსებლად კერძო საკუთრებაში არსებული ობიექტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით.

6. ყველა საარჩევნო სუბიექტი საარჩევნო პლაკატების გამოფენისას სარგებლობენ თანაბარი პირობებით.

7. საარჩევნო პლაკატების განთავსებისას შესაბამისი საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს დაევალოს სათანადო ადმინისტრაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

8. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიასა და შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

9. წინამდებარე განკარგულების შუახევის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.shuakhevi.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს საკრებულოს აპარატის უფროსმა - ა. ხიმშიაშვილმა.

10. წინამდებარე განკარგულების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს, „საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №29 განკარგულება

11. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

12. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა

საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილები

| № | დასახლებული პუნქტი | საარჩევნო პლაკატებისთვის განკუთვნილი ადგილები | მისამართი, აღწერილობა და ფართობი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | დაბა შუახევი | საავტომობილო გზის დამცავი კედელი. | დაბა შუახევი რუსთაველის ქუჩა საავტომობილო გზის ზედა მხარეს | დასაშვებია მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალურად განთავსებულ ბანერზე გაკვრა. საავადმყოფოს მიმდებარედ არსებული კედლზე დასაშვებია ნებისმიერ ადგილას. |
| | | ქუჩის საყრდენი კედელი | თამარ მეფის ქუჩაზე (ქუჩის მხრიდან ზედა მხარეს) | დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად განთავსებულ ბანერზე გაკვრა გაკვრა |
| 2 | სოფელი ჩანჩხალო | სოფლის საერთო სარგებლობის წისქვილის გარე ფასადი | მდებარე სოფლის ცენტრთან | |
| 3 | სოფელი სხეფი | მოსაცდელი, | მდებარე სოფლის საავტომობილო გზასთან | |
| | | სოფლის საერთო სარგებლობის წისქვილის გარე ფასადი | მდებარე თერნალის უბანში | |
| 4 | სოფელი დაბაძველი | ძველი მაღაზიის შენობა | მდებარე სოფლის ცენტრში გზასთან ახლოს | |
| | | მოსაცდელი | მდებარე დაბაძველ ბესელაშვილების გზასაყარზე | |
| 5 | სოფელი ოქროპილაური | ორი ერთეული საერთო სარგებლობის წისქვილის გარე ფასადი | 1. მდებარე ლენტოკის უბანში,<br>2. მდებარე სოფლის ცენტრში | |
| 6 | სოფელი შუბანი | მოსაცდელი | შუბნის გადასახვევთან | |
| | | ორი ერთეული საერთო სარგებლობის წისქვილი | 1. მდებარე სოფლის ცენტრში გზის ზედა მხარეს გზაზე,<br>2. მდებარე სოფლის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე | |
| 7 | სოფელი ტომაშეთი | ბუნებრივი კლდე გზის გასწვრივ | მდებარე სოფლის საავტომობილო გზაზე | |
| | | მოსაცდელი | სოფლის ზედა და ქვედა უბნის გამყოფ გზაზე გზის ზედა მხარეს | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | სოფელი დარჩიძეები | მოსაცდელი | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| | | წისქვილი | სოფლის დასაწყისში გზის ზედა მხარეს | |
| 9 | სოფელი კობალთა | მოსაცდელი | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| | | ყოფილი საუბნო საავადმყოფოს შენობა ცენტრში | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| 10 | სოფელი ოლადაური | ყოფილი მაღაზიის შენობა, | მდებარე სოფლის ცენტრში ადმინისტრაციული შენობის წინა მხარეს | |
| | | შადრევანი | მდებარე სოფლის ცენტრში ადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირე მხარეს | |
| 11 | სოფელი კარაპეტი | მოსაცდელი | მდებარე სოფლის ცენტრში ადმინისტრაცვიული შენობის გვერდით | |
| | | ყოფილი ადმინისტრაციული შენობა | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| 12 | სოფელი მაწყვალთა | ყოფილი მაღაზიის შენობა | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| | | მოსაცდელი | მდებარე სოფლის ცენტრში მაღაზიის წინა მხარეს | |
| 13 | სოფელი მახალაკიძეები | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე რობათის უბანში | |
| 14 | პაპოშვილები | ჯებირი | მდებარე სოფლის ცენტრთან ახლოს | |
| 15 | სოფელი გორი | საერთო სარგებლობის წისქვილი | სოფლის ცენტრთან მოშორებით | |
| 16 | სოფელი კვიახიძეები | მოსაცდელი | მდებარე სოფლის ცენტრში,გზის ზწდა მხარეს | |
| | | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში,გზის ქვედა მხარეს | |
| 17 | სოფელი გოგინაური | მოსაცდელი | მდებარე სოფლის ცენტრში,გზის ქვედა მხარეს. | |
| | | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში,გზის ქვედა მხარეს. | |
| 18 | სოფელი ლომანაური | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში,გზის ქვედა მხარეს | |
| 19 | სოფელი ქიძინიძეები | საავტომობილო გზის დამცავი კედელი. | მდებარე სოფლის ცენტრში,საავტომობილო გზის ზედა მხარეს | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში,საავტომობილო გზის ქვედა მხარეს | |
| 20 | სოფელი ჭვანა | სარიტუალო დარბაზი | მდებარე სოფლის საჯარო სკოლის გვერდით | |
| 21 | სოფელი ცხემლისი | საავტომობილო გზის დამცავი კედელი. | მდებარე სოფელ ცხემლისის ცენტრში | |
| 22 | სოფელი ტაკიძეები | საავტომობილო გზის დამცავი კედელი. | მდებარე სოფელ ტაკიძეებში გზის ქვედა მხარეს (სერის უბანი) | |
| | | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| 23 | სოფელი ხიჭაური | ქუჩის საყრდენი კედელი | მდებარე ხიჭაური შუახევის საავტომობილო გზაზე (უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე | |
| 24 | სოფელი ჭალა | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| 25 | სოფელი წყაროთა | ორი ერთეული საერთო სარგებლობის წისქვილი | 1. მდებარე სოფლის ცენტრში,<br>2. მდებარე სოფლის დასაწყისში | |
| 26 | სოფელი ინწკირვეთი | წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| | | მოსაცდელი | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| 27 | სოფელი ნაღვარევი | ყოფილი პურის საცხობის შენობა | მდებარე სოფელი ნაღვარევში სოფლის ცენტრში | |
| | | ორი ერთეული წისქვილი | მდებარე სოფლის დასაწყისში და სოფლის ცენტრში | |
| 28 | სოფელი ჟანივრი | სოფლის საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფელ ჟანივრის საავტომობილო გზის დასაწყისში | |
| 29 | სოფელი ხაბელაშვილ ები | საავტომობილო გზის დამცავი კედელი. | მდებარე სოფელ ხაბელაშვილების ცენტრში | |
| 30 | სოფელი ბრილი | საერთო სარგებლობის ორი ერთეული წისქვილი | 1.მდებარე სოფელ ბრილის ცენტრში,<br>2. მდებარე სოფელ ბრილის დასაწყისში (ქილაურის უბანი) | |
| 30 | სოფელი ბარათაული | ყოფილი საბჭოს შენობა | მდებარე სოფელ ბარათაულში ცენტრში | |
| 31 | სოფელი გომარდული | სპორტული მოედნის საყრდენი კედელი | მდებარეობს სოფელ გომარდულში წანკალაურის უბანში | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 32 | სოფელი გოგაძეები | 2 ერთეული საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში გზასთან ახლოს | |
| 33 | სოფელი ლაკლაკეთი | საერთო სარგებლობის წისქვილი | სოფლის სახლის გვერდით | |
| 34 | სოფელი სამოლეთი | მაღაზიის შენობა | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| 35 | სოფელი წაბლანა | გზის საყრდენი კედელი | მდებარე სოფელთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე | |
| 36 | სოფელი ცინარეთი | ყოფილი მაღაზიის შენობა | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| | | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| 37 | სოფელი ნენია | გზის საყრდენი კედელი | მდებარე სოფლის ცენტრთან მიმდებარე ტერიტორიაზე | |
| | | სააგიტაციო დაფა | სოფლის ცენტრში | |
| | | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში საავტომობილო გზასთან | |
| 38 | სოფელი ნიგაზეული | ყოფილი პურის საცხობის შენობა | მდებარე სოფლის ცენტრში გზის სელიმ ხიმშიაშვილის ციხე სიმაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე | |
| | | მოსაცდელი, საერთო სარგებლობის წისქვილი | 1. მდებარე მჭედლური უბანში გზის მარჯვენა მხარეს,<br>2. დებარე მჭედლური უბანში გზის მარცხენა მხარეს მხარეს | |
| 39 | სოფ. ნიგაზეული, ზამლეთის უბანი | გზის დამცავი კედელი | მდებარე შუახევი ხულოს საავტომობილო გზის ზამლეთის მონაკვეთზე | |
| | | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე წიაღის უბანში | |
| 40 | სოფელი ფურტიო | ყოფილი პურის საცხობის შენობა | მდებარე სოფლის ცენტრში სკოლასთან ახლოს | |
| | | ყოფილი კლუბ კანტორის შენობა | მდებარე ელვაურის უბანში | |
| 41 | სოფელი ბუთურაული | ყოფილი მაღაზიის შენობა | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| | | საერთო სარგებლობის წისქვილი | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| 42 | სოფ. ფურტიო, მჭედლურის უბანი | მოსაცდელი | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| | | სოფლის საერთო სარგებლობის ორი ერთეული წისქვილი | მჭედლურში | |
| 43 | ჯუმუშაური | მოსაცდელი | მდებარე სოფლის ცენტრში | |
| | | სოფლის საერთო | მდებარე სოფლის ცენტრში | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სარგებლობის წისქვილი | მოსაცდელის მხარეს | |
| 44 | დღვანი | მაღაზია | მდებარე დღვანის ცენტრში | |
| | | მოსაცდელი და საერთო სარგებლობის წისქვილი | სოფლის ცენტრი | |

გიორგი დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა